

## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი

---

3 ივლისს, სტუ-ს სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტში სამაგისტრო დამამთავრებელი ნაშრომების დაცვა გაიმართა. ნაშრომების შესაფასებლად საკვალიფიკაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით მუშაობდა:

კომისიის თავმჯდომარე - ბერდი ზაუტაშვილი

კომისიის მდივანი - ხათუნა მიქაძე

კომისიის წევრები: ნოდარ ფოფორაძე

ნოდარ ქაჯაია

უჩა ზვიადაძე

თამაზ ლომინაძე

ირინე ფარადაშვილი

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად კომისიის წინაშე ორი კურსდამთავრებული წარსდგა:

#### 1. მაგისტრანტი – ანა ქემოკლიძე

**სამაგისტრო ნაშრომის დასახელება** – „ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის გარემოზე ზემოქმედების საინჟინრო-ჰიდროგეოლოგიური ფაქტორები“

**ხელმძღვანელი** – სრული პროფესორი უჩა ზვიადაძე

**რეცენზენტი** – სტუ-ს პროფესორი ნოდარ ქაჯაია

#### 2. მაგისტრანტი – ანა ადამიანი

**სამაგისტრო ნაშრომის დასახელება** – “თბილისისპირა მიმდებარე რაიონის გეოლოგიური აგებულების თავისებურებანი და პალეოგენური ნალექების ნავთობგაზშემცველობის პერსპექტივები”

**ხელმძღვანელი** – მოწვეული პროფესორი თეიმურაზ ბარაბაძე

**რეცენზენტი** – შპს “კანარგო ჯორჯიას“ მთავარი გეოლოგი, ი. თავდუმაძე

მაგისტრანტებმა ნაშრომები მოხსენებებითა და საპრეზენტაციო მასალებით წარმოადგინეს, შემდეგ კი კომისიის წევრების, რეცენზენტების და დამსწრე

საზოგადოების შეკითხვებს უპასუხეს. მოხსენებები კომისიის თითოეული წევრის მიერ ცალ-ცალკე შეფასდა, ქულათა საშუალო რაოდენობით კი ორივე მაგისტრანტმა მაღალი შეფასება დაიმსახურა.

**გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტის  
2013 წლის მაგისტრატურის კურსდამთავრებულები**



ანა ქემოკლიძე



ანა ადამიანი



*გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტი ულოცავს კურსდამთავრებულებს მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭებას, უსურვებს წინსვლას და შემდგომ წარმატებებს.*